J.E.L. classification: F20; E 32
DOI: https://doi.org/10.52244/ep.2021.21.02

პანდემიის გავლენა ტურისტულ ბიზნესზე

გოდერძი შანიძე
ბიზნესისა და მართვის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო
goderdzi.shanidze@unik.edu.ge

რეზიუმე

პანდემიამ, თუკი რომელიმე ბიზნესი დააზარალა ეს უპირველესად ტურისტული ბიზნესია. ამ ბიზნესთან ძალიან მჭიდრო კავშირშია სხვა ბიზნესებიც და შესაბამისად გავლენა მათზეც მოახდინა. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზარმა 2020 წელს სავარაუდოდ 75,2 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი დაკარგა. UNWTO-ს თანახმად, ყველაზე მეტად დაზარალდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. მათი წილი ტურიზმის სექტორში 80%-ს შეადგენს. კორონავირუსს განსაკუთრებული გავლენა კი იმ ქვეყნებზე ექნება, რომელთა ეკონომიკაში ტურიზმს დიდი წილი უკავია და რომლის ეკონომიკური ზრდაც დიდწილად ტურიზმის სექტორიდან გამომდინარეობს. საქართველოც ამ ტიპის ქვეყნების რიგებშია.

საქართველოს მთავრობის განცხადებით, საქართველო ტურიზმის დარგს აამუშავებს უახლოეს პერიოდში, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების სტანდარტის დაცვით და რეკომენდაციების გათვალისწინებით. ტურიზმი, გარდა იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, დარგს აქვს კონკურენტული უპირატესობა, რომელსაც შეუძლია პანდემიის შემდგომ, პოსტკრიზისულ ეკონომიკაში, ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.

მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი სფეროა, რომლის განვითარებასაც განაპირობებს ქვეყნის უსაფრთხო გარემო, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა. ის ქმნის სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს მოსახლეობისთვის შემოსავლების ზრდას. საერთაშორისო ტურიზმი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას უწყობს ხელს და პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ და კულტურულ გარემოზე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ტურისტული ბიზნესის, კრიზისიდან გამოყვანა.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული ბიზნესი; პანდემია; ბაზარი; კრიზისი; მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

ციტირებისთვის: Shanidze G., (2021) The impact of the pandemic on the tourism business. Economic Profile, №1(21), pp. 17–21. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2021.21.02